კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.nbg.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 27 მარტი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი

www.nbg.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
70,00%
67,25%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
27,27%
78,33%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
37,17%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
66,67%
31,68%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
47,83%
26,64%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
33,33%
40,10%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
80,00%
42,13%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
20,00%
19,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
50,00%
55,00%
0,00%
50,00%
100,00%

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- განყოფილებაში სათაურად „ბანკის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საბჭოს წევრები“ არ მოიძიება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ფოტოსურათი და მისი სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

  სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ეროვნული ბანკის პრეზიდენტი“ ან „საბჭოს თავმჯდომარე“, სადაც განთავსდებოდა ზემოთ აღწერილი ინფორმაციის ერთობლიობა:



ბანკის შესახებ > მენეჯმენტი > საბჭოს წევრები

გიორგი ქადაგიძე

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე, ბანკის პრეზიდენტი

დაბადების თარიღი:	10.04.1980
განათლება:	
სამეცნიერო წოდება:	
სამუშაო გამოცდილება:	სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი. 2009 წლის თებერვლიდან – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე, ბანკის პრეზიდენტი. 2008/04–2009/02 წწ. – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი. 2007-2008/04 წწ. – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი. 2006/03-2007/07 წწ. – საქართველოს გენერალური პროკურატურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი. 2005/07-2006/03 წწ. – საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი. 2005/01-2005/07 წწ. – ქ. თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსი, საფინანსო სამსახურის უფროსი, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი. 2003-2004 წწ. – საქართველოს სახალხო ბანკი, საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი. 2000-2003 წწ. – სააუდიტორო-საკონსულტაციო ფირმა „იუ-ბი-სი ინტერნეიშენალი“ – მუშაობდა აუდიტორის, უფროსი აუდიტორის, აუდიტის მენეჯერის თანამდებობებზე.

<< უკან

- განყოფილებაში სათაურად „ბანკის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საბჭოს წევრები“ არ მოიძიება ეროვნული ბანკის ორი ვიცე-პრეზიდენტის ფოტოსურათი და მათი ფუნქციათა აღწერა.

  ზემოთ ხსენებულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტების სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

  სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვიცე-პრეზიდენტები“, სადაც განთავსდებოდა ზემოთ აღწერილი ინფორმაციის ერთობლიობა:

არჩილ მესტვირიშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ვიცე–პრეზიდენტი

დაბადების თარიღი:	16.09.1972
განათლება:	1994 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მათემატიკის სპეციალობით. 2002 წელს დაამთავრა "ტემპლის" (აშშ) უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი.
სამეცნიერო წოდება:	ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
სამუშაო გამოცდილება:	2009 წლის დეკემბრიდან – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ვიცე–პრეზიდენტი. 2009 წლის 26 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე–პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. 2005 – 2009 წწ. – საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი. 2004 – 2005 წწ. – თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი. 2004/06–2004/12 წწ. – საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური, ფულად–საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი. 2002 – 2004 წწ. – საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და მონეტარული პოლიტიკის დეპარტამენტის მკვლევარ–ეკონომისტი, შემდეგ მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი. 1998–2000 წწ. – საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წამყვანი სპეციალისტი.

<< უკან

ოთარ წადარაია

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ვიცე–პრეზიდენტი

დაბადების თარიღი:	10.07.1977
განათლება:	2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2003 წელს დაამთავრა ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ–ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. 2008 წელს დაამთავრა ვილიამს კოლეჯის (აშშ, მასაჩუსეტის შტატი) მაგისტრატურა ეკონომიკაში.
სამეცნიერო წოდება:	ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
სამუშაო გამოცდილება:	2009 წლის დეკემბრიდან – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ვიცე–პრეზიდენტი. 2009 წლის 20 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2008/06 – 2009/10 წწ. – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილე. 2006/09 – 2008/05 – საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის დოკუმენტური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი. 2006/08 – 2006/09 წწ. – საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის დოკუმენტური ზედამხედველობის განყოფილების წამყვანი ეკონომისტი, განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2005 – 2006/08 წწ. – საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მონეტარული პოლიტიკის განყოფილების მთავარი ეკონომისტი. 2003 – 2005 წწ. – საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა განყოფილების მკვლევარი ეკონომისტი. 2003 წ. – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი. 2001 – 2002 წწ. – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

- განყოფილებაში სათაურად „ბანკის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „საბჭოს წევრები“ არ მოიძიება ეროვნული ბანკის საბჭოს დანარჩენი (ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების გარდა) წევრების ფოტოსურათები და სამუშაო საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

გიორგი ქადაგიძე
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე, ბანკის პრეზიდენტი...

არჩილ მესტვირიშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ვიცე–პრეზიდენტი...

ოთარ ნადარაია
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ვიცე–პრეზიდენტი...

ლაშა ჯუღელი
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი...

სიმონ გელაშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი...

მიხეილ თოქმაზიშვილი
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი...

თემურ შენგელია
საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი...

ლაშა ჯუღელი

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი

დაბადების თარიღი:	09.10.1975
განათლება:	2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1998–1999 წწ. სწავლობდა პარიზის პოლიტიკურ სწავლებათა ინსტიტუტში. 1999–2000 წწ. სწავლობდა ქ. ნანსის საწარმოთა მართვის ინსტიტუტში ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობით.
სამეცნიერო წოდება:	
სამუშაო გამოცდილება:	2009 წლის დეკემბრიდან – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. 2008–2009/12 წწ. – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის მოადგილე. 2007–2008 წწ. – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილე. 2005–2007 წწ. – გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა (UNDP) და საქართველოს მთავრობის პროექტის ნორმატიული ბაზის გადასინჯვისა და ანალიზის ჯგუფის ხელმძღვანელი. 2004–2005 წწ. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი. 2004 წელი – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მრჩეველი. 1999–2004 – წწ. "Price Waterhouse Coopers" , პარიზი, საფრანგეთი.

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, რაც გულისხმობს, რომ ვებ-გვერდის ყველა გვერდს სასურველია დაუყვებოდეს შესაბამისი წერილობითი ფრაზა - „საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი“. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს ნიშნულის მიდამოებში, გარკვევით და ვრცლად:

3. მომხმარებელთათვის ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე სასურველია არსებობდეს განყოფილება ტექსტური სათაურით - „კონტაქტი“ ან „დაგვიკავშირდით“, სადაც ვებ-გვერდზე უკვე არსებულ ინფორმაციასთან ერთად, განთავსდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა და საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემის სრული (გაშლილი) სარეკვიზიტო ცნობარი, რომელიც მოიცავს ეროვნული ბანკის ყველა სტრუქტურული ერთეულის (დეპარტამენტები და განყოფილებები), შიდააუდიტორული სამსახურის, აგრეთვე ეროვნულ ბანკთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარეკვიზიტო ცნობარს - საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, ელ.ფოსტები, ფაქსის ნომრები *და ა.შ.* :



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

4. განყოფილებაში „ბანკის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „სტრუქტურა“ მოყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე). თუმცა, ვებ-გვერდის მომხმარებელთათვის ეროვნული ბანკის სტრუქტურის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად ხსენებულ ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე განთავსდეს:

- ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;

- ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

5. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ მოიძიება ეროვნულ ბანკში ვაკანსიათა არქივი (წლების, თვეების მიხედვით), ადმინისტრაციულ

ხელშეკრულებათა მონაცემთა ბაზა, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება შესაბამისი ინფორმაციული შიგთავსით და კომერციული ბანკების სალიცენზიო რეესტრის ელექტრონული ვერსია.

ამასთან, განყოფილებაში „ფინანსური სტაბილურობა“ არსებული ბმული სათაურად „საბანკო ზედამხედველობა“ ცარიელია:



ინფორმაცია აგრეთვე არ არის განყოფილებაში „სიახლე“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ანონსი“:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

6. დაინტერესებულ მომხმარებელთათვის შესაბამისი ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ეროვნული ბანკის პრეზიდენტი“ ან „საბჭოს თავმჯდომარე“, სადაც წინამდებარე კვლევის ამსახველ დოკუმენტის პირველ პუნქტში მოყვანილ ინფორმაციასთან ერთად, განთავსდებოდა ინფორმაცია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტებისა და მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის გამოსვლების, განცხადებების და ბრიფინგების ტექსტები. ხსენებული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს განყოფილებაში სათაურად „ეროვნული ბანკის პრეზიდენტი“ ან „საბჭოს თავმჯდომარე“ შესაქმნელ ქვე-განყოფილებებში - „ღონისძიებები“, „ვიზიტები“ და „განცხადებები“.

ყველა ზემოთ ხსენებული რეკომენდაცია ანალოგიურად შესაძლებელია გავრცელდეს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტების შესახებ შესაბამის ინფორმაციაზეც:



7. ქვე-განყოფილებაში „წლიური ანგარიში“ სასურველია სხვა ანგარიშებთან ერთად აგრეთვე მოიძიებოდეს 2011 წლის წლიური ანგარიშიც:



8. სასურველია ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს ეროვნული ბანკის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

9. განყოფილებაში სათაურად „ბანკის შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები უახლესი მდგომარეობით:

- საქართველოს კონსტიტუციის სრული ტექსტი;

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ვალის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“;

- საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“;

ამასთან, ხსენებულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილი უმეტესობა საკანონმდებლო აქტებისა მოცემულია ძველი მდგომარეობით (საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“).

სხვა სამართლებრივ აქტებთან ერთად ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე და საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტები, ეროვნული ბანკის დებულება და საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები (არსებობის შემთხვევაში).

აგრეთვე, შესაძლებელია შეიქმნას განცალკევებული სექცია სათაურად „საშტატო ნუსხა“, სადაც განთავსდებოდა ეროვნული ბანკის საშტატო ნუსხა და მომსახურეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.

დამატებით ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას სამართლებრივი აქტების თემატური საძიებო სისტემა (ფილტრაცია დოკუმენტის მიღების თარიღის, დოკუმენტის ტიპის, საკვანძო სიტყვის *და ა.შ.* მიხედვით), სადაც მოყვანილი იქნება მუდმივად განახლებადი სამართლებრივი აქტები უახლესი მდგომარეობით:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

10. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან.

ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ეროვნულ ბანკში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/erovnulibanki_sajaroinfo.pdf*

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/erovnulibanki_infostatistics.pdf).

11. ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ლიცენზირება/რეგისტრაცია“, სადაც განთავსდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ სალიცენზიო და მარეგისტრირებელ საქმიანობის შესახებ, აგრეთვე შესაბამისი სანქციების შესახებ ვრცელი და დეტალური ინფორმაცია. (მ.შ. ვადებისა აღწერა, გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები, შესაბამისი ფორმები, საკონტაქტო ინფორმაცია. ქმედების გამახორცილებელ პასუხისმგებელ პირთა შესახებ ინფორმაცია და *ა.შ.*).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ეროვნულ ბანკსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

13. მართალია განყოფილებაში „სიახლე“ არსებობს ქვე-განყოფილებები სათაურად „აუქციონები“ და „შესყიდვები“, თუმცა ხსენებულ ქვე-განყოფილებებში უმეტესწილად მოყვანილია ინფორმაცია განცხადებების შესახებ. ქვე-განყოფილებაში „შესყიდვები“ სასურველია აგრეთვე არსებობდეს 2011 და 2012 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უკვე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ამომწურავი ჩამონათვალი (სია), ხოლო ქვე-განყოფილებაში „აუქციონები“ - 2011 და 2012 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უკვე განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების ამომწურავი ჩამონათვალი (სია):



*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
http://www.opendata.ge/pdf_files/shesyidvebi_erovnulibanki.pdf

ამასთანავე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი, რა ინფორმაციაც ნაწილობრივ მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე::
http://www.opendata.ge/pdf_files/erovnulibanki_shesyidvebi.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

14. მართალია განყოფილებაში „სიახლე" არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", თუმცა ხსენებულ ქვე-განყოფილებაში მოცემულია მხოლოდ ავტობიოგრაფიის ელექტრონულ მისამართზე გასაგზავნი ბმული, ხოლო განყოფილებაში „ბანკის შესახებ" არსებულ ქვე-განყოფილებაში „კარიერა" - ზოგადი ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკში მოხელის ვაკანტური თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით:





ქვე-განყოფილებაში „ვაკანსიები", სასურველია აგრეთვე განთავსდეს საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიათა არქივი (წლების მხიედვით). აგრეთვე, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული

პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

15. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- განცალკევებით არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე, 2011 წლის მეორე კვარტალის (აპრილი-მაისი-ივნისი) მდგომარეობით, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/erovnulibanki_tanamshromlebi.pdf).*

- განცალკევებით არ მოიძიება ეროვნული ბანკის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი ინფორმაცია მოიძიება მომხმარებლისათვის რთულად ხელმისაწვდომ ადგილას - წლიურ ანგარიშებში).

ვებ-გვერდზე მომხმარებელთათვის თვალსაჩინო ადგილას სასურველია შეიქმნას განცალკევებული განყოფილება (ბანერი) სათაურად - „ფინანსური მონაცემები", სადაც ზემოთ ხსენებულ ინფორმაციასთან ერთად, განთავსდებოდა ვებ-გვერდზე უკვე არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული თემატური ინფორმაციული შიგთავსით უდავოდ მდიდარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, მომხმარებელთათვის სრულყოფილი ელ.გამჭვირვალობის ხარისხის მისაღწევად საჭიროებს კვლევის ამსახველ დოკუმენტში ზემოთ მოყვანილ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
68,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
66,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
68,42%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
46,15%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8

- **ნავიგაცია**

ნავიგაციაში აუცილებლად უნდა იყოს „მთავარი გვერდი“ და „კონტაქტი.“ ეს არის სტანდარტული გვერდები, რომელიც მომხმარებელს ეხმარება სწრაფ ნავიგაციაში. ამჟამად ვებ-გვერდზე nbg.gov.ge ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაცული. მაგ:

- **ძიება**

ვებ-გვერდის ძიების მოდული დასახვეწია. ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსიის ძიების მოდულში შესაძლებელი უნდა იყოს ქართული ფონტის (უნიკოდის) ავტომატური გამოყენება, მას ასევე უნდა ჰქონდეს ლათინურ ფონტზე გადასართავი ღილაკი. ამჟამად ვებ-გვერდზე ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული. მაგ:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საჯარო დაწესებულების საკონტაქტო ელ.ფოსტა სამწუხაროდ განთავსებულია nbg.ge-ზე და არა nbg.gov.ge-ზე. როგორც დომენში (ვებ-გვერდის მისამართში) ისევე ელ.ფოსტის მისამართებში გამოყენებული უნდა იყოს gov.ge დაბოლოება.

მაგ:



ვებ-გვერდის საკონტაქტო ფორმას აუცილებლად უნდა ქონდეს დამცავი კოდი. რათა სერვერი და საჯარო დაწესებულების სისტემა დაცული იყოს კიბერ შეტევისაგან. ამჟამად ვებ-გვერდზე დამცავი კოდის ალგორითმი არ არის დაწერილი.

მაგ:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე აღმოჩენილი XSS ხარვეზი:



ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ დეტალურად ამ ხარვეზის შესახებ, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით პრობლემის სრულ ანალიზს;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის სიახლეების გამოწერის მოდული დასახვეწია. გამოწერის შემდეგ რეპორტის სისტემა არ მოქმედებს, მომხმარებელი ვერ იგებს მოხდა თუ არა გამოწერის სერვისის აქტივირება მითითებულ ელ.ფოსტაზე.

გამოწერის შემდეგ მოდული გამოიყურება შემდეგნაირად:



ვებ-გვერდს საბეჭდი ვერსია არ გააჩნია. სიახლეების გვერდებში პირდაპირ მიბმულია ბეჭდვის ფუნქცია. მაგ:



ვებ-გვერდზე ატვირთულ დოკუმენტებს, მიწერილი აქვთ ფაილის ზომები, თუმცა არა ყველას. მაგ:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე გამოსასწორებელია საკონტაქტო ფორმები და წესები, ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან, ელექტრონული ჩართულობა, ელექტრონული სერვისები და რაც მთავარია უსაფრთხოება. ვებ-გვერდზე არსებულ მოდულებს სჭირდებათ დახვეწა - მაგ. რეპორტინგის სისტემა არ იმყოფება სათანადო დონეზე.